მწვანე ალტერნატივა
გარემოსდაცვითი და სოციალური სამართლიანობისთვის საქართველოში

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის (ღორღი) მოპოვების პროექტის სკრინინგის განცხადების თაობაზე

4 დეკემბერი, 2019

2019 წლის 29 ნოემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს სასარგებლო წიაღისეულის (ღორღი) მოპოვების პროექტის სკრინინგის განცხადების განსახილველად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს (ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და **შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.**

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ სკრინინგი გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენილ დოკუმენტაციაში საერთოდ არ არის ინფორმაცია საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების შესახებ.

ერთადერთი ჩანაწერი რაც საქმიანობის გარემოზე ზემოქმედებას შეიძლება დავუკავშიროთ არის 11.2 პუნქტში მოცემული ჩანაწერი, იმის შესახებ რომ „ობიექტზე ეკოლოგიური წონასწორობისა და უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ლიცენზიანტი“.

განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია, რომელიც სამინისტროს შესაძლებლობას მისცემს იმსჯელოს მის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს. კერძოდ, არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია: არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება; ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება; ნარჩენების წარმოქმნა; გარემოს დაბინძურება და ხმაური; საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი; დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის სიახლოვე და თავსებადობა დასახლებულ ტერიტორიასთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან.

საბოლოო ჯამში უცნობი რჩება საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების ხასიათი, ხარისხი და კომპლექსურობა.

ყოველივე აღნიშნულის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ სამინისტრომ ან უნდა მოითხოვოს კანონით დადგენილი ინფორმაციის შემცველი სკრინინგის განცხადების წარდგენა, ან მიიღოს გადაწყვეტილება საქმიანობის გზშ-სადმი დაქვემდებარების შესახებ იმის საფუძველზე, რომ სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას საქმიანობის შესაძლო ზემოქმედების შესახებ.

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org